თავი 14 პროექტის მთლიანი შეფასება

სარჩევი

14 პროექტის საერთო შეფასება 14-1
14.1 შესავალი 14-1
14.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემუშავება 14-1
14.2.1 მიღებული პროცესი 14-1
14.2.2 ESIA პროცესის გამოწვევები 14-2
14.3 საკითხები, რომლებიც წარმოიშვა ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების შედეგად 14-2
14.3.1 იდენტიფიცირებული საკითხები 14-2
14.3.2 მეორადი და არაპირდაპირი ზემოქმედებები 14-4
14.3.3 კომბინაციური ზემოქმედებები 14-4
14.3.4 დაუგეგმავი მოვლენები 14-5
14.3.5 საკითხები, რომლებიც საჭიროებს დასრულებას 14-5
14.3.6 ESIA-ს დამატების სხვა მთავარი საკითხები 14-5
14.4 საპროექტო შეფასების განაცხადი საინჟინრო პროექტის განახლებებისთვის .. 14-6

ცხრილები

ცხრილი 14-1: საკვანძო ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება - მშენებლობა 14-2
ცხრილი 14-2: ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება – ექსპლუატაციის ფაზა 14-4

14 პროექტის საერთო შეფასება

14.1 შესავალი

ESIA-ს დამატება წარმოადგენს საქართველოში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოთავაზებული საინჟინრო პროექტის განახლებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას. მომზადდა ESIA-ს დამატება, რომელშიც შეფასებული იქნება საინჟინრო პროექტის განახლებით გამოწვეული ზემოქმედებები, რომლებიც უკავშიდება SCPX მილსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთს.

ESIA-ს დამატება მომზადდა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში მოცემული შემდეგი ვალდებულების შესაბამისად:

- პროექტის ფარგლებში მომზადდება ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების ანგარიში თუ გამოყენებული იქნება ESIA-ში აღწერილი მიწის გარდა სხვა დამატებითი მიწა; შეფასების მასშტაბი დამოკიდებული იქნება შემოთავაზებულ საქმიანობაზე და ზონის სენსიტიურობაზე (39-03).

14.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემუშავება

14.2.1 მიღებული პროცესი

ESIA-ს დამატების მომზადების დროს განხორციელდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) იგივე პროცესი, რაც ჩატარდა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების დროს; ეს პროცესი ქვემოთ მოკლედაა შეჯამებული:

- ESIA-ს დამატება განხორციელდა და ანგარიში მომზადდა თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების (HGA) პირობების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს, რომ ESIA-ს მიდგომა შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივის 85/337/EEC პრინციპებს (ცვლილებები შესულია ევროსაბჭოს დირექტივით 97/11/EC).

- წინამდებარე ESIA-ს დამატება განხორციელდა და შესაბამისი ანგარიში მომზადდა, როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური პროცესი RSK-ს მიერ, რომელმაც განაგრძო მჭიდრო თანამშრომლობა "ძელქვასა" და ACT-სთან, ორ სპეციალიზებულ ქართულ საკონსულტაციო კომპანიასთან და ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კულტურული მემკვიდრეობის და განსახლების ექსპერტებთან.

- ESIA-ს დამატების მომზადებისას ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე; ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი გახდა საჯარო კონსულტაციების და განხილვის პროცესის საგანი, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ანალოგიურად. ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის საჯარო განხილვა ასევე მოხდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში, მე-9 თავის 9.7 ქვეთავში აღწერილის შესაბამისად.

- ESIA-ს დამატებისთვის შედგენილი იქნა ვალდებულებეთა რეესტრი (დანართი E), რომელიც წარმოადგენს ახალი ვალდებულებების ან არსებულ ვალდებულებებში შეტანილი ცვილელებების განმსაზღვრელ ნუსხას; ეს ვალდებულებები იდენტიფიცირებული იქნა საინჟინრო პროექტის განახლებების ზემოქმედებების შეფასებისას.

- ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმაში (ESMMP), რომელიც გახდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ნაწილი და გაცემული იქნება პროექტის სამშენებლო კონტრაქტების სატენდერო პირობების სახით ყველა მონაწილისათვის, გადახედილი იქნება, როგორც ეს ნაჩვენებია დანართში D, ახალი და შეცვლილი ვალდებულებების სახით.

14.2.2 ESIA პროცესის გამოწვევები

ESIA-ს დამატების მომზადებისას, შედარებით შეზღუდულად არსებობდა იგივე გამოწვევები, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 14.2.2 (მითითებულია უფრო დეტალური ინფორმაციისთვის). კერძოდ, ESIA-ს დამატება ასახავს და ამავდროულად იცვლება დეტალურ დაპროექტების პროცესთან ერთად.

14.3 საკითხები, რომლებიც წარმოიშვა ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების შედეგად

14.3.1 იდენტიფიცირებული საკითხები

ESIA–ს დამატების ფარგლებში განხორციელდა საინჟინრო პროექტის განახლებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და მათი მნიშვნელობის შეფასების პროცესი იგივე სტრუქტურიზებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელიც გამოყენებული იყო SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების დროს. განისაზღვრა და შეჯამდა ყველა ნარჩენი ზემოქმედება და სარგებელი გადაწყვეტილების მიმღებთათვის პროექტთან დაკავშირებული საკითხების გააზრების გასაადვილებლად. ეს ნარჩენი ზემოქმედებები შეჯამებულია სამშენებლო ფაზისთვის (იხ. ცხრილი 14-1) და ექსპლუატაციის ფაზისთვის (იხ. ცხრილი 14-2):

ცხრილი 14-1: საკვანძო ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება - მშენებლობა

უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ნარჩენი ზემოქმედებები
საზოგადოების უსაფრთხოება
• დასახლებებისთვის გაიზრდება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიიყენების რისკი, ვინაიდან გაიზრდება საგზაო მოძრაობა, ხოლო სამშენებლო უბნებს უკავშირდება ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ღრმა გათხრები და თხრილები.
ხმაური და ვიბრაცია
• რამდენიმე მუშაზე (დაახლოებით სამი), რომლებიც PRMS კმ1.5-თან მდებარე საზაფხულო აგარაკს იყენებენ დროებით საცხოვრებლად, დროებით ზეგავლენას მოახდენს მშენებლობის დროს გაზრდილი ხმაურის დონე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები (რომლებიც ეფუძნება BS 5228-ს, იხ. მე-3 თავი, ქვეთავი 3.9.6) არ არის გამოსადეგი ისეთი ხმაურის ზემოქმედებისთვის, რომელიც გრძელდება ერთ თვეზე ნაკლებ ხანს. გაზრდილი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედებები შესაბამისად უნდა იყოს უფრო ნაკლები, ვიდრე შემოთავაზებულია მნიშვნელობის შეფასების კატეგორიით, თუმცა, კატეგორია შენარჩუნებული იქნა ამ ადგილას შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის გარკვეული ყურადღების მიმართვის მიზნით.

საშუალო მნიშვნელობის ნარჩენი ზემოქმედებები
ნიადაგები და გრუნტის პირობები
• ნავთობის, ქიმიური ნივთიერებების ან საშიში ნარჩენების დაღვრა შეცვლის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ნიადაგზე მცენარეულობის აღმოცენების შესაძლებლობას.
ხმაური და ვიბრაცია
• მშენებლობის ხმაურის წარმოქმნის შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა შეაწუხოს სოფელი ხაიშის მოსახლეობა და კმ59-ის ჩრდილოეთით მდებარე სახლების მცხოვრებნი. • ჩამკეტი სარქველის და დგუშის სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების დროს ახლოს მცხოვრებთა შესაძლო შეწუხება - თუმცა ეს მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდება. როგორც ზემოთაა ნახსენები, შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები (BS 5228) არ არის გამოსადეგი მოკლევადიანი შეწუხებისთვის, თუმცა კატეგორია შენარჩუნებული იქნა ამ ადგილზე შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის გარკვეული ყურადღების მიმართვის მიზნით.
დასახლებების ჯანდაცვა
• საზოგადოება შეიძლება მოექცეს პოტენციურად საშიში მასალების ზემოქმედების ქვეშ ავარიული დაღვრის შედეგად. • საზოგადოებისთვის გაიზრდება სხვადასხვა დაავადების გავრცელების საფრთხე (მაგ., სანიტარული და ნარჩენებთან დაკავშირებული დაავადებები, არაგადამდები დაავადები და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები). • შესაძლოა, გაიზარდოს დაძაბულობა დაცვის თანამშრომლებსა და დასახლებების მცხოვრებლებს შორის. • პროექტის მიერ გამოწვეული შეზღუდვების მიზეზით სამედიცინო პუნქტში პაციენტების გადაყვანის დაგვიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი მდგომარეობის გაუარესება.
დასაქმება, უნარები და საარსებო წყაროები
• პროექტი სავარაუდოდ გამოიწვევს უკმაყოფილებას არათანაბარი პირობების გამო პროექტში დასაქმებულ ადგილობრივ მოსახლეობას და იმ პირებს შორის, რომელთა განაცხადები წარუმატებელი აღმოჩნდა, ასევე, ადგილობრივ და უცხოელ დასაქმებულებს შორის არათანაბარი ხელფასებისა და სამუშაო პირობების გამო. • პროექტის სხვადასხვა სტადიაზე, განსაკუთრებით მშენებლობის დასრულების შემდეგ, დაიკარგება სამუშაო ადგილები შემცირებების გამო. • პროექტმა შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობა კულტურული განსხვავებების, სამშენებლო მუშახელის ანტისოციალური ქცევის, პოტენციური პროსტიტუციისა და ბანაკთან უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანების მიზიდვის გამო.
ინფრასტრუქტურა და მომსახურება
• მოსალოდნელია მესამე მხარის ინფრასტრუქტურის შემთხვევითი დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა მომხმარებელთა მომარაგების დროებითი დაკარგვა ან შეზღუდვა. • მძიმე ტექნიკის მოძრაობამ შეიძლება დააზიანოს გზები, განსაკუთრებით PRMS–ის და მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მახლობლად.

საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი
• მოსალოდნელია საგზაო მოძრაობის მნიშვნელოვანი გაზრდა ადგილობრივ გზებზე PRMS-ის და მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მახლობლად.
სასარგებლო ზემოქმედებები
დაბინძურებული მიწის გაწმენდა
• უკანონოდ დაყრილი ნაგვის გაწმენდა და განთავსება შესაბამის ლიცენზირებულ ობიექტზე შეამცირებს დამაბინძურებლების გავრცელების რისკს მიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე, დასახლებების მცხოვრებთა და სამშენებლო მუშახელის დაზიანების ან დაავადების რისკს.
კულტურული მემკვიდრეობა
• კულტურული მემკვიდრეობის შეფასების მიმდინარე პროგრამის შედეგად, ადგილობრივი არქეოლოგიის უკეთესად გაგება. • მშენებლობის დროს აღმოჩენილი ნებისმიერი უბნის გათხრისა და აღრიცხვის შედეგად (გვიან განხორციელებული აღმოჩენების ოქმის განხორციელების შედეგად), ადგილობრივი არქეოლოგიის უკეთ გაგება სასარგებლო ზემოქმედება იქნება.
დემოგრაფია
• დასაქმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სავარაუდოდ შეამცირებს ემიგრაციას და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის შემცირების პოტენციალს
დასაქმება, კვალიფიკაცია და საარსებო წყაროები
• პროექტი გააუმჯობესებს ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციას. • დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის გაუმჯობესება სავარაუდოდ გაზრდის ადგილობრივი მეწარმეების გაყიდვებს, ასევე ზეგავლენას მოახდენს ადამიანებზე, რომლებიც, ჩართულნი არიან "კოტეჯების" საქმიანობაში სრული/ნახევარი განაკვეთით.

პროექტის ექსპლუატაციის ფაზის საშუალო მნიშვნელობის ნარჩენი ზემოქმედებები შეჯამებულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 14-2).

ცხრილი 14-2: ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება – ექსპლუატაციის ფაზა

სასარგებლო ნარჩენი ზემოქმედებები
დასაქმება, უნარები და საარსებო წყაროები
• მცირე მასშტაბიანი გრძელვადიანი დასაქმება შედეგად გამოიღებს გარკვეულ სოციალურ სარგებელს. • მთლიანი SCPX მილსადენისგან მიღებული შემოსავლები სარგებლიანი იქნება ეროვნული ეკონომიკისათვის.

14.3.2 მეორადი და არაპირდაპირი ზემოქმედებები

ESIA-ს დამატებისთვის განხორციელდა მეორადი და არაპირდაპირი ზემოქმედებების შეფასება. იდენტიფიცირებული იქნა იგივე მეორადი ზემოქმედებები, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 14.3.2 (იხილეთ დეტალური ინფორმაციისთვის).

14.3.3 კომბინაციური ზემოქმედებები

მშენებლობის ფაზის დროს არსებობს დაბალი მნიშვნელობის კომბინაციური ზემოქმედებების შესაძლებლობა სამშენებლო ხმაურის, მტვრის და სატრანსპორტო მოძრაობის კომბინირებული ეფექტის გამო კმ59-ის ჩრდილოეთით მდებარე სახლების

და ხაიშის მცხოვრებებზე და სამშენებლო ხმაურის, მტვრის და ვიზუალური ზემოქმედებების შესაძლებლობა საზაფხულო აგარაკის მცხოვრებებზე PRMS კმნ1.5-თან.

სამშენებლო სამუშაოების დროებითი ხასიათიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები მილსადენის სამშენებლო დერეფნის გასწვრივ ჩატარდება ხაზოვანი წესით, ყველა ასეთი ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი, ხოლო ზემოქმედების მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება ჩატარებული სამუშაოს ხანგრძლივობაზე, დაკავებული სივრცის ზომასა და სამუშაოს ხასიათზე და ასევე განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე.

სამშენებლო სამუშაოების შედეგად ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწების მფლობელებს და მოიჯარეებს შესაძლოა დროებით ლოკალურად დაერღვეთ მათი მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო რეჟიმი.

ექსპლუატაციის ფაზის დროს კომბინაციური ზემოქმედებები სავარაუდოდ იქნება დაბალი მნიშვნელობის.

14.3.4 დაუგეგმავი მოვლენები

მე-12 თავში განხილულია საინჟინრო პროექტის ის მახასიათებლები, რომლებიც შეამცირებს დაუგეგმავი მოვლენების ხდომილების ალბათობას და ასევე წარმოდგენილია საოპერაციო კონტროლის მექანიზნები, როგორიცაა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებები, რომლებიც შემოთავაზებულია დაუგეგმავი მოვლენების ხანგრძლივობის ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უბნის შეზღუდვისთვის. მილსადენის როგორც დამატებით მონაკვეთებზე, ისე დანარჩენ SCPX მილსადენზე მომხდარი ინციდენტით გამოწვეულ ხმაურთან და დასახლებების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, შეფასებულია როგორც მაღალი მნიშვნელობის მქონე საკითხები. თუმცა, ასეთი მოვლენის ალბათობა უაღრესად დაბალია და შესაბამისად შეიცავს საშუალო მნიშვნელობის ნარჩენ რისკს. სხვა ტიპის ზემოქმედებები შეფასებულია როგორც დაბალი ნარჩენი რისკის მქონე ზემოქმედება.

14.3.5 საკითხები, რომლებიც საჭიროებს დასრულებას

ძირითადად მშენებლობასთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებიც მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 14.3.5 ამ ეტაპზე რჩება სრულად განსაზღვრულად და მოცავს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- საბოლოო ნარჩენების რაოდენობები და ტიპები
- ინერტული მასალების და სხვა სამშენებლო მასალების მოპოვება
- დროებითი მისასვლელი გზების მდებარეობა.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ეს თავი.

14.3.6 ESIA-ს დამატების სხვა მთავარი საკითხები

კულტურული მემკვიდრეობა

გამოყენებული იქნა სამშენებლო მეთოდოლოგია, რომელშიც ჩართულია მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის გასწვრივ არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ეს ღონისძიებებია:

- კულტურული მემკვიდრეობის უბანზე BPGA15 (ორჭოსანთან) ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისათვის გათვალისწინებული მე-2

ფაზის სამუშაოები და იმ შემთხვევაში, თუ უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება მოდიფიცირებული სამშენებლო მეთოდების (მაგ.: მიწისზედა კონსტრუქციით ან სავალი გზის ბიოდეგრადირებადი ჯვალოთი ან გეოტექსტილითა და შემავსებლით დაფარვა) გამოყენება კომპანიის მიერ არ ჩაითვალა შესაძლებლად, ყველა იმ უბანზე, რომელიც აღმოჩნდება არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი, ჩატარდება სრული კვლევები. მშენებლობის დაწყებამდე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებთან ჩატარდება კონსულტაციები მოდიფიცირებული სამშენებლო ღონისძიებების გამოყენების მეთოდების შესახებ (X10-17).

- კულტურული მემკვიდრეობის შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ჩატარდება კონსულტაციები თანამედროვე პერიოდის თურქი მესხების სასაფლაოსთან (BPGA 15,IV-214) დაკავშირებით და სასაფლაოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნება უტრანშეო გადაკვეთის ან სხვა მოდიფიცირებული სამშენებლო მეთოდი (X10-18).

კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები

მე-11 თავში კუმულაციური ზემოქმედებების შეფასებამ გამოავლინა ის ტერიტორიები, სადაც შესაძლოა წარმოიშვას სინერგისტული ეფექტები შემოთავაზებული საინჟინრო პროექტის განახლებების პარალელურად მიმდინარე სხვა მშენებლობების გამო. პროექტმა მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის გასწვრივ შესაძლოა წარმოშვას ლოკალიზებული კუმულაციური ზემოქმედებები TANAP პროექტთან ერთად. რაც შეეხება TANAP და SCPX პროექტებთან დაკავშირებულ ხმაურის, ვიზუალურ, მტვრის და ეკოლოგიურ ზემოქმედებებს, ეს ზემოქმედებები შესაძლოა გავრცელდეს რამდენიმე ასეულ მეტრზე; არსებობს შესაძლებლობა ზემოქმედების ქვეშ მოექცეს თურქული სოფელი თურგოზუ. ზემოქმედებების დროებითი ხასიათის, რომლებიც შემოიფარგლება მხოლოდ SCPX პროექტის მშენებლობის ფაზით და SCP და BTC მილსადენების მშენებლობით მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიჩნეულია რომ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება იქნება დაბალი.

პროექტი ეცდება ჩართოს საქმიანობებში ისეთი მშენებლები, რომლებიც ითანამშრომლებენ ისე, რომ მინიმუმამდე შეამცირონ იდენტიფიცირებული კუმულაციური ზემოქმედებები.

14.4 საპროექტო შეფასების განაცხადი საინჟინრო პროექტის განახლებებისთვის

ESIA-ს დამატება სისტემატურად და სრულყოფილად ამოწმებდა პროექტის ყველა იდენტიფიცირებულ ასპექტს, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების წარმოშობის შესაძლებლობას.

მილსადენის მშენებლობასს უკავშირდება რამდენიმე ნარჩენი ზემოქმედება. თუმცა, სათანადო მართვისა (და ზოგიერთ შემთხვევებში სენსიტიურობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად ჩატარებული კვლევები) და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიების გატარების პირობებში, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ანგარიშით, უზრუნველყოფილი იქნება ამ ნარჩენი ზემოქმედებების მართვა.